*დანართი 1*

სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

*დამტკიცებულია:*

_____

_____ 20175.

# ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

# ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის პრიორიტეტულ მიმართულებებში ერთერთი მთავარი ადგილი უკავია განათლების ინტერნაციონალიზაციას ხარისხის ამაღლებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრულია ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები და შემუშავებულია განათლების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია; დაგეგმილია მიზნის მისაღწევი გზები: განათლების თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება; საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია; საგანმანათლებლო პროგრამებში უცხოური ენების კომპონენტის სწავლების გაძლიერება; პერსონალის და სტუდენტთა უცხოურ ენაზე/ენებზე კომუნიკაციის უნარების განვითარება; სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა; უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასთან ერთად ზრუნვა უცხოელი სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და მკვლევარების მოსაზიდად და მათთვის შესაბამისი სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნა; საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტებისა და ინდიკატორების შესწავლა; თვითშეფასების პროცესში უცხოელი ექსპერტების ჩართვა; საგანმანათლებლო პროგრამის წარდგენა საერთაშორისო აკრედიტაციაზე; საერთაშორისო ფონდების მოძიება, კონტაქტის დამყარება და უნივერსიტეტის პრიორიტეტების გათვალისწინებით მათთან კოორდინირებული თანამშრომლობა; ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების წახალისებისა და ხელშწყობის ინსტრუმენტების განვითარება.